დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის „აღმზრდელი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ინგა კალანდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 406308687

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10/01/2026 წლის MES 3 26 0000008813 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.

ვიზიტი განახორციელდა 2026 წლის 03 თებერვალს ;

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 17.11.2025წლის ბრძანება N 32936/01
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა N5
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი დაფუძნდა 2022 წელს და აღნიშნული პერიოდიდან ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სივრცეში. დღეის მდგომარეობით კოლეჯში ხორციელდება ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „საფინანსო სერვისები“ და „Front-end დეველოპმენტი“, ასევე ერთი პროფესიული მომზადების პროგრამა — „რეგიონული ტურისტული მეგზური“. დაწესებულება საქმიანობას ახორციელებს „პროფესიული განათლების შესახებ კანონის“, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა“ და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისია და სტრატეგიული მიმართულებები

კოლეჯის მისიაა თითოეული პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური და ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, შრომის ბაზართან ადაპტირებული და ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. აღნიშნული მისიის შესაბამისად, კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით", რომლის თანახმადაც გეგმავს შრომის ბაზრისთვის აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამატებას.

შრომის ბაზრის მოთხოვნები და პარტნიორობა

კოლეჯი მიზნად ისახავს პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისთვის მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2023 წლიდან კოლეჯი თანამშრომლობს ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან. ქვეყანაში მიმდინარე სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღმზრდელების კვალიფიკაციის დადასტურება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი" უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი". პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი შემუშავდა და წარედგინა კოლეჯის დირექტორს.

საქართველოში ბავშვთა მოვლისა და სკოლამდელი განათლების სფერო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად საკადრო მიმართულებას. როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე არსებული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ აღმზრდელებსა და ძიძებზე მოთხოვნა ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისში.

ქ. რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ინფორმაციით, ქ. რუსთავში ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლებიც მომსახურებას უწევენ დაახლოებით 6000 აღსაზრდელს და დასაქმებულია 200 აღმზრდელი. 2023–2024 სასწავლო წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 1 708 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც 141 324 აღსაზრდელი ირიცხება. საქსტატის 2022/2023 სააღმზრდელო წლის მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონში ფუნქციონირებდა 122 საჯარო საბავშვო ბაღი, თუმცა 2025 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი ნაწილობრივ იცვლება, რაც დაკავშირებულია ბაღების ინფრასტრუქტურულ განახლებასთან — ახალი ბაღების გახსნასა და არსებული შენობების რეაბილიტაციასთან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის ინფორმაციის სისტემის (LMIS) მიერ გამოქვეყნებული ანალიზები აჩვენებს, რომ სკოლამდელი განათლების სექტორში კვალიფიციურ აღმზრდელებზე მოთხოვნა მუდმივად მაღალია. 2023–2024 წლების შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები განათლების სფეროში მოთხოვნად პოზიციებს შორის TOP 5 ჯგუფში შედიან და შეადგენენ საერთო მოთხოვნის 14%-ს. 2021–2022 წლების შრომის ბაზრის ანგარიშის თანახმად, სკოლამდელი აღმზრდელები განათლების სექტორის ვაკანსიების 21%-ს (218 ვაკანსია) შეადგენდნენ, ხოლო 2021 წლის მონაცემებით — განათლების სექტორის ყველა ვაკანსიის 23.3%-ს, რაც მიუთითებს სტაბილურ და მზარდ მოთხოვნაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით უმეტესწილად ინტერესდებიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ქალები ხასიათდებიან შედარებით მაღალი მობილობით როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად ქორწინების შემთხვევაში), ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმების კუთხით. აღნიშნული გარემოება ზრდის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირების როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების პოტენციალს.

ამ კონტექსტში გაანალიზდა კერძო ოჯახებში ბავშვების აღმზრდელად (nanny) დასაქმების ფინანსური შესაძლებლობები. ოფიციალურ სტატისტიკაზე, ვაკანსიების პლატფორმებსა და შრომითი სააგენტოების ანგარიშებზე დაყრდნობით, ქართველ ემიგრანტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სფეროდ დასახელებულია ბავშვების მოვლა და კერძო აღმზრდელობა. თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, აშშ-სა და კანადაში ანაზღაურების მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროფესია იძლევა კონკურენტუნარიანი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო იზრდება უცხო ენის ცოდნის შემთხვევაში.

ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, Jobs.ss.ge-ის კატეგორიაში „ძიძა, მომვლელი, დამხმარე“ ფიქსირდება 27–29 აქტიური ვაკანსია საქართველოს მასშტაბით, მათ შორის 25–27 ვაკანსია თბილისში და 1 ვაკანსია ქ. რუსთავში. ანაზღაურების კუთხით, კერძო ბაღებში ბაღის აღმზრდელთა ხელფასი შეადგენს 700–1 400 ლარს, ხოლო უცხოურ და საერთაშორისო ბაღებში ანაზღაურება შედარებით მაღალია. კერძო ოჯახებში დასაქმების შემთხვევაში, თბილისში 24-საათიანი ძიძის ანაზღაურება მერყეობს 2 000–2 500 ლარის ფარგლებში, დღიური გრაფიკით — 900–1 800 ლარი, ხოლო რეგიონებში — 400–1 800 ლარი.

ზემოაღნიშნული მონაცემების ერთიანი ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში ბავშვთა მოვლისა და სკოლამდელი განათლების სექტორი ხასიათდება სტაბილური და მზარდი შრომის ბაზრით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ მოთხოვნებს და ქმნის რეალურ დასაქმების პერსპექტივებს პროგრამის კურსდამთავრებულთათვის.

საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები:
აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ინტერესდებიან უმეტესწილად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ქალები ხასიათდებიან შედარებით მაღალი მობილობით როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად ქორწინების შემთხვევაში), ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმების კუთხით. აღნიშნული გარემოება ზრდის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირების შრომით მიგრაციაში ჩართვის შესაძლებლობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯმა გამოიკვლია, თუ რა ფინანსური შესაძლებლობები ეძლევათ აღმზრდელის პროფესიით დასაქმებულ პირებს, მათ შორის კერძო ოჯახებში ბავშვების აღმზრდელის პოზიციაზე. ქართველთა ემიგრაციისთვის გავრცელებული ძირითადი მიმღები ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია ინფორმაცია ქართველ ემიგრანტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სფეროზე — ბავშვების მოვლასა და კერძო აღმზრდელობაზე (Nanny / Babysitter / Early Childhood Care). მონაცემები დაფუძნებულია ოფიციალურ სტატისტიკაზე, ვაკანსიების პლატფორმებსა და შრომითი სააგენტოების ანგარიშებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ უზრუნველყოფს პირის მომზადებას არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო შრომის ბაზრისთვისაც. ამასთანავე, დასაქმების ფინანსური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზრდება იმ შემთხვევაში, თუ კურსდამთავრებული ფლობს უცხო ენას შესაბამის საკომუნიკაციო დონეზე.

დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ადმინისტრაცია,შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები (11 განმახორციელებელი, მათ შორის 7 დარგობრივი მოდულებისათვის), რომლებიც უზრუნველყოფენ აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას.

დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისავის გამოყოფილია A და B გარემოები, თითოეული აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და მასწავლებლისათვის პროგრამის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მოსაზრებით პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაში „აღზრდელი“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, საქართველოს კანონმდებობით პროგრამაზე დაშვების დამატებით პირობად გათვალისწინებულია ტესტირება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პირობები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, შესაბამისად „აღმზრდელი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C ტიპის სასწავლო გარემოებში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.
A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის. აღნიშნული სივრცე აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიას და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, ასევე პროექტორით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების განხორციელებას.

სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამის მოდულებში განსაზღვრული სწავლის შედეგების ასათვისებლად აუცილებელი მატერიალური რესურსითა და ინვენტარით. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნით ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავსებადია სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებთან და გათვალისწინებულია კვირეული დატვირთვა მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. ამასთანავე, დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A, B და C ტიპის გარემო) ერთ სივრცეში განთავსება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით, ერთ მიღებაზე — 20 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული რაოდენობა კოლეჯმა დაადგინა არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, ასევე პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პირობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან და უწყვეტ განხორციელებას, შესაბამისად დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის დაწესებულების საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის სასწავლო რესურსებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევით მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დებულების თანახმად, კოლეჯის დირექტორს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების სამართლებრივი უფლება. აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 17.11.2025წლის ბრძანება N 32936/01, ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N01 ბრძანებით. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „აღმზრდელი“ საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სასწავლო შედეგებს, არ არის შეცდომაში შემყვანი და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მკაფიო იდენტიფიკაციას როგორც სტუდენტისთვის, ისე შრომის ბაზრის დაინტერესებული მხარეებისთვის.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **აღმზრდელი** შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის“აღმზრდელი“ საფუძველზე და მომზადებულია პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროგრამის სრული პაკეტის შესაწავლის შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის“ მისია;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის“ სტრატეგიული გეგმა;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის“ სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
- შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის“ დებულება ;
- “აღმზრდელის’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “აღმზრდელი’’ ;
- დირექტორის ბრძანება “აღმზრდელის’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ ;
- პროგრამის შესაბამისი რესურსების ფლობის დამატასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A და B ტიპის სასწავლო გარემო, თითოეული 20 პროფესიული სტუდენტისთვის. აღნიშნული გარემოები აღჭურვილია სრულფასოვან მატერიალურ რესურსით, რომელიც მოიცავს შესაბამის კომპიუტერულ აღჭურვილობას, სადემონსტრაციო საშუალებებს, დაფას, მაგიდებს, სკამებს და სხვა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრული ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის(გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი) განხორციელება ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ჩართულობით, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად 20 მსმენელის პრაქტიკულ საქმიანობას ბაღებში, გაერთიანების შემავალ დაწესებულებებში. აღნიშნული თანამშრომლობა, როგორც კოლეჯის მატერიალური რესურსი, ასევე პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას კოოპერატიული მიდგომით 40 პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამით „აღმზრდელი“ განსაზღვრული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 დარგის წარმომადგენელი; ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირად საქმეები. მოდულების განაწილებით და სასწავლო გეგმის ანალიზით დასტურდება, რომ პერსონალის დატვირთვა არ ცდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულნი არიან კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პირები. თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში დაცულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულების მიერ ორგანიზებულ იქნა ტრენინგები: პროფესიულ განათლებაში სწავლების და შეფასების მეთოდები. პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებთან განხორციელებული ინტერვიუებიც ადასტურებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორეს და პროგრამის ეფექტური განხორციელების შესაძლებლობას.

შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელს. ექსპერტურმა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, რომლის შედეგებიც ადასტურებს, რომ ხელმძღვანელი სრულად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, აქტიურად იყო ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დაგეგმვისა და ადაპტირების პროცესებში და გამოხატავს მზაობას აქტიურად ჩაერთოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესებში. აღნიშნული ფაქტი უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან, მიზნობრივ და დარგობრივად შესაბამის განხორციელებას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონულ მატერიულ ბაზაზე. აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლების მაღალი ხარისხის განხორციელებას, სასწავლო პროცესის მხარდაჭერასა და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. სახელმძღვანელოები დამუშავებულია სათანადო წესით, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყების დროს გააცნობს თუ როგორ შეუძლიათ აბონენტად დარეგისტრირება, რომ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია“ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების (სსსმ პირების) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელს ეძლევა უფლება, სასწავლო პროცესში გამოიყენოს სხვადასხვა სწავლების ხერხები და სტრატეგიები, შეარჩიოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების და ინსტრუქტაჟის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი, ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, გამოიყენოს აუცილებელი სასწავლო მასალა და ნედლეული, ასევე მართოს და შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის პერსონალიზაციას, პროფესიული სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობასა და სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც დეტალურად გაწერილია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განისაზღვრა პროგრამის რენტაბელობის ზღვარი. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების წყაროდ განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯების ნაწილში კი გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, სასწავლო მასალა, ნედლეული და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული ფინანსური უზრუნველყოფა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას, რენტაბელობის შენარჩუნებას და პროგრამის მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი";
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომლების პირადი საქმეები, რომლებშიც დაცულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის სისტემურ მონიტორინგს და მისი შედეგების შრომის ბაზართან შესაბამისობას. შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რათა პროგრამის შედეგები უზრუნველყოფდნენ სტუდენტების ადაპტაციას რეალურ სამუშაო გარემოში;
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, მათ შორის პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციებს;
- საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალობასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისობას.

შეფასების განხორციელება ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხიან შეგროვებას და ანალიზს სხვადასხვა ჯგუფის გამოხატული მოსაზრებების, გამოცდილებისა და საჭიროებების შესახებ. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც არა მხოლოდ ანახებს პროგრამის ეფექტურობას, არამედ განაპირობებს მასში ცვლილებების შემოტანის შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემური მიდგომის მაგალითს, რომელიც ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, შრომის ბაზრის ანალიზი, უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებისაგან, შესაბამისად **პროგრამის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ შეფასებით მონაცემებს იყენებს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლებისგან შემოსული უკუკავშირის ანალიზი საშუალებას აძლევს დაწესებულებას:

- შეაფასოს პროგრამის განხორციელების ხარისხი,
- გამოვლინოს სიძლიერეები და განვითარების სფეროები,
- საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში ან კონკრეტულ მოდულებში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

შედეგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, ასევე პროგრამის მუდმივად ადაპტირებას შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალობას, ეფექტურობას და პროფესიული სტუდენტების მომზადების მაღალ სტანდარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელიც სრულად ასახავს პროგრამის სპეციფიკას და თითოეული მოდულის განხორციელების წინაპირობებს. სასწავლო გეგმა აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას, სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და სასწავლო შედეგების მიღწევას განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც პროგრამის შინაარსობრივ თანმიმდევრობას, ისე პროფესიული სტუდენტების მიზნობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად და მოქნილად რეაგირებს ნებისმიერ შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ჩამონათვალი, რომლის მესაკუთრეც პროფესიული სტუდენტი უნდა გახდეს პროგრამის დასრულებისას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილია ადაპტირებული სასწავლო გარემო, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ყველა აუცილებელი პროცედურა პროფესიული სტუდენტის სწავლასთან დაკავშირებით, მათ შორის: სტატუსის მოპოვება, შეჩერება ან აღდგენა, მობილობის უზრუნველყოფა, სწავლების შედეგების დადასტურება, განმეორებითი შეფასება და გასაჩივრება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლა, ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები და სხვა შესაბამისი პროცესები.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალური რესურსით, რომელიც აუცილებელია სასწავლო შედეგების მიღწევისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალი ხარისხის პროცესს.

მოდულებში დეტალურად გაწერილია სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მიღწევების სისტემატურ შეფასებას. პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დინამიკურ, მაღალხარისხიან და პროფესიული სტანდარტების შესაბამის განხორციელებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და/ან მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას ან აკომოდაციას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მოდიფიკაცია** – მისი მიზანია მისაღწევი სასწავლო შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის საჭიროებების შესაბამის განვითარებას;
- **აკომოდაცია** – სწავლებისა და შეფასების მეთოდებში ცვლილება, მისაღწევი სასწავლო შედეგების უცვლელად დატოვებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან ადაპტირებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დასაშვებია, პროფესიულ სტუდენტზე შეიქმნას იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენი სასწავლო კომპონენტშიც აღინიშნება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელს ეძლევა უფლებამოსილება:

- მიმართოს სწავლების სხვადასხვა ხერხებსა და სტრატეგიებს;
- შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
- განსაზღვროს და დაადგინოს პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური საათების განაწილების სქემა;
- განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- გამოიყენოს აუცილებელი რაოდენობის სასწავლო მასალა და ნედლეული;
- შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობისას და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული სტუდენტის სტატსაღდგენილი ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი.

აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის პერსონალიზაციას, პროფესიული სტუდენტის ჩართულობის მაქსიმიზაციას და სასწავლო შედეგების ეფექტურ მიღწევას.

შესაბამისად **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

„აღმზრდელი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება **კოოპერაციული მიდგომით**, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის – **გაცნობითი პრაქტიკა** და **პრაქტიკული პროექტი**, – რომელთა განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაერთიანება. აღნიშნული ჩართულობა უზრუნველყოფს ერთდროულად 20 მსმენელის პრაქტიკას ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ ბაღებში, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების დამყარებას და პრაქტიკულად შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

კოლეჯს და ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას შორის გაფორმებულია **ურთიერთთანამშრომლობის უვადო მემორანდუმი**, რომელშიც დეტალურად განსაზღვრულია მხარეთა უფლებები, მოვალეობები, პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის პროცედურები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

გასაუბრება განხორციელდა ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან. გაერთიანება აერთიანებს 23 საბავშვო ბაგა-ბაღს. ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად , გაერთიანება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განაწილებას მის დაქვემდებარებაში მყოფ საბავშვო ბაგა-ბაღებში პროფესიულ სტუდენტთა საცხოვრებელი მისამართების გათვალისწინებით,.

აღნიშნული პარტნიორობა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ, ხარისხიან და სამართლებრივად დაცულ განხორციელებას, ხელს უწყობს კოოპერატიული სწავლების ეფექტურობას და უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული მომზადების მაღალი სტანდარტის დაცვას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში ფუნქციონირებს დეტალურად ჩამოყალიბებული უსაფრთხოების წესების სისტემა, რომელიც მოიცავს, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოებას, პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას და სხვა შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს. „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მიეკუთვნება მაღალი რისკის პროგრამულ კატეგორიას, შესაბამისად, მისი განხორციელება სპეციფიკურ დამატებით უსაფრთხოების ნორმებს არ საჭიროებს. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაბამისი სტანდარტების დაცვით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას. **გასაუბრების და წინამდებარე დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **„აღმზრდელი“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუსავების წესი;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება- შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს, დოკუმენტების ანალიზის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიურების შედეგების შეჯამებით დასტურდება, **რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

კოლეჯში ფუნქციონირებს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი“, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

კოლეჯს შემუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც პრაქტიკულად გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ასევე ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომლის ფარგლებში შეფასების პროცესში მონაწილეობის ვალდებულება აქვთ მოდულის განმახორციელებელს და პროგრამის ხელმძღვანელს. აღნიშნულ პირებს გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რაც უზრუნველყოფს შეფასების ხარისხს, სიმართლესა და შედეგების სანდო ვალიდურობას.

აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს პროგრამის ხარისხის სისტემური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კომპონენტს და უზრუნველყოფს როგორც სტუდენტთა მიღწევების ობიექტურ შეფასებას, ისე პროგრამის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს.დოკუმენტის ანალიზის და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულებაში შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მონაცემები ინახება სამი წლის ვადით შედგენილი აქტის (ყოველგვარი აქტიური დოკუმენტის) გაფორმების მომენტიდან. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სამართლებრივად დაცულ, სისტემურ და გამჭვირვალე არქივირებას, რაც ხელს უწყობს როგორც პროფესიული სტუდენტების მიღწევების შემდგომ დადასტურებას, ისე პროგრამის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგსა და ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმნათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხითაც. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.02.2026 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: